

Peace Corps Response Program

მშვიდობის კორპუსის მოკლევადიანი მხარდაჭერის
პროგრამა



Site Identification Handbook

საინფორმაციო დანართი

2018

Background

Peace Corps is a non-political, non-religious, non-profit agency of the United States government that was established in 1961 by President John F. Kennedy. Peace Corps is a people-to-people organization that relies on the dedication and commitment of qualified American men and women who contribute to the social, economic and human development of countries requesting assistance. Its mission is to facilitate the productive exchange of knowledge and expertise between Peace Corps Volunteers and local communities. Peace Corps strives to promote world peace and friendship by fulfilling three fundamental goals:

- ❑ Providing trained men and women who contribute to the social and economic development of interested countries;
- ❑ Promoting a better understanding of the American people on the part of the people whom Volunteers serve;
- ❑ Strengthening Americans' understanding about the world and its people.

Peace Corps projects are designed and planned in collaboration with host country governmental and non-governmental agencies. The Peace Corps office in-country coordinates the cooperative work of Volunteers and host agencies. Volunteers are supervised directly by host country officials within those agencies. Local agencies, organizations, and communities also sponsor Volunteers in their communities and provide some support.

Peace Corps Response Volunteers (PCRVs) serve from six up to 12 months. Unlike other foreign aid workers, Volunteers are afforded no special privileges. Volunteers receive a modest living allowance, which allows them to live at the same level as the people in their host communities. Volunteers do not provide commodities, equipment, or funds.

In the 50+ years since its founding, more than 220,000 Americans have joined the Peace Corps, serving in 140 nations. Today Peace Corps supports over 7000 Volunteers in 64 different countries. Volunteers work in the fields of education, environment, health, community economic development, youth development agriculture, and other fields.

Peace Corps Response Volunteers

The Peace Corps worldwide headquarters in Washington, D.C. is responsible for recruiting Volunteers throughout the United States. Peace Corps Volunteers must be American citizens, above eighteen years of age, and must possess the necessary skills and training required for the program for which they apply. There are no restrictions regarding age, sex, or religion.

Peace Corps Response Volunteers, are experienced Volunteers who bring specialized skill set to short term targeted assignments.

მშვიდობის კორპუსის შესახებ

მშვიდობის კორპუსი 1961 წელს დააარსა პრეზიდენტმა ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ. ეს ორგანიზაცია არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის არაპოლიტიკური, არამომგებიანი და არარელიგიური სააგენტო, რომელიც საშუალებას აძლევს ამერიკელ მოხალისეებს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და ცოდნა სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობას. მშვიდობის კორპუსი აგზავნის კვალიფიცირებულ მოხალისეებს იმ ქვეყნებში, რომლებიც ამგვარ დახმარებას ითხოვენ. მოხალისეებს შეაქვთ თავიანთი წვლილი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაში.

მშვიდობის კორპუსი იღწვის მშვიდობისა და მეგობრობის გასამდიერებლად სამი ძირითადი საშუალებით:

- ხელს უწყობს დაინტერესებული ქვეყნის განვითარებას შესაბამისი განათლების მქონე ხალხის ჩამოყვანით და მათი ჩაბმით ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში;
- ხელს უწყობს ამერიკელი ხალხის მიერ სხვა ქვეყნის უკეთ გაცნობას;
- ხელს უწყობს სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ამერიკის უკეთ გაცნობაში,

მშვიდობის კორპუსის პროექტები მუშავდება მასპინძელი მხარის მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მათთან თანამშრომლობით. ქვეყანაში არსებული მშვიდობის კორპუსის ოფისი კოორდინირებს მიმღები მხარისა და მოხალისის მუშაობას. მოხალისეებს ზედამხედველობას მათივე მასპინძელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ოფიციალური პირები უწევენ. ადგილობრივი სააგენტოები, ორგანიზაციები და თემები ასევე მხარს უჭერენ მოხალისეებს საკუთარ თემებში ინტეგრირებისას.

მშვიდობის კორპუსის მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეები მსახურობენ ექვსიდან 12 თვის ვადით. სხვა უცხოური ორგანიზაციების თანამშრომლებისაგან განსხვავებით, მოხალისეებს არ აქვთ განსაკუთრებული პრივილეგიები. მოხალისეები იღებენ მოკრძალებულ ანაზღაურებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს იცხოვრონ საზოგადოების რიგითი წევრების მსგავსად. მოხალისეები არ უზრუნველყოფენ მასპინძელ თემებს/ორგანიზაციებს ტექნიკით, მოწყობილობით ან ფინანსური რესურსებით.

მშვიდობის კორპუსის არსებობის ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში 220 000-ზე მეტ ამერიკელს უმსახურია მსოფლიოს 140 ქვეყანაში. ამჟამად მშვიდობის კორპუსი 7000 მოხალისეს ითვლის 64 ქვეყანაში. ისინი მუშაობენ განათლების, ჯანდაცვის, ეკოლოგიის, თემის ეკონომიკური განვითარების, ახალგაზრდობის განვითარების, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროებში.

მშვიდობის კორპუსის მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატებში, მოხალისეების შერჩევას მშვიდობის კორპუსის ვაშინგტონის სათაო ოფისი ხელმძღვანელობს. მშვიდობის კორპუსის მოხალისეები უნდა იყვნენ 18 წელზე მეტი ასაკის, აშშ-ს მოქალაქეები, ფლობდნენ საჭირო უნარ-ჩვევებსა და მომზადებას, რომელიც მოითხოვება იმ პროგრამისათვის, რომელზეც შეაქვთ განაცხადი. არ არსებობს შეზღუდვები ასაკის, სქესისა და სარწმუნოებასთან მიმართებით.

მშვიდობის კორპუსის მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეები არიან გამოცდილი მოხალისეები, რომლებიც შესაბამისი მოკლევადიანი პროექტების შესასრულებლად, სპეციალიზებულ უნარ-ჩვევებს ფლობენ.

About Response Program

The Response Program started in 2010 and works with educational institutions, governmental and nongovernmental organizations on short-term, high impact assignments. Volunteers serve for six to 12 months, providing targeted technical assistance in areas such as English language education and teacher training, youth development and volunteerism, environmental education and ecotourism development, people with disabilities, IDPs and others. Response Volunteers support organizations to develop their human and organizational capacity and identify and mobilize resources.

Response Program Purpose and Goals

The major goal of the program is to complement and enhance post's English Education and Individual and Organizational Development projects, and other Agency and Post priorities.

PURPOSE:

The overall purpose of the Response Program is to support educational institutions, organizations, and communities in responding to their development needs.

GOAL 1: Promote Community and Organizational Development

Community and organization members will have improved capacity and skills in organizational management, strategy development, and program design.

GOAL 2: Support Capacity Development

Community and organization members will develop or strengthen their skills in planning, time and resource management, project management, proposal writing, fundraising, and communications.

GOAL 3: Support English Language Development

Georgian students, teachers, and other community members will have increased access to personal, professional, and academic opportunities through English language learning and training on other critical skills.

Response Program Volunteer Projects

Peace Corps Response Volunteers are placed in those communities, schools, educational institutions and organizations in the regions of Georgia where their assistance is most needed and where there is the greatest interest in and support for the Volunteer work. **Volunteers will not replace or substitute qualified and available Georgian workers of the organizations to which they are assigned. Volunteers do not perform tasks and duties of a paid staff.** The Volunteer will be working alongside their Georgian counterparts to fulfill the goals of the project and promote human capacity building, sustainable organizational and community development.

Within Response Program Volunteers accomplish wide variety of activities; here are just a few examples:

- Assisting in designing management, organizational, fundraising, communication strategies, and action plans;
- Helping in streamlining the grant proposal development and application processes for the organizations;
- Training organization members, interested adults and youth in Project Design and Management, budgeting, strategic planning, usage of modern technologies, leadership, time management, communication, project management, and other skills;

- Training organization members, community youth and other members in employability skills such as CV writing, goal-setting, interviewing, etc.;
- Creating public relations materials and web-sites for the organizations;
- Supporting universities, vocational colleges, and other educational institutions in improving English Language Education program;
- Teaching English to students, teachers community members, and organization staff;
- Training teachers in improving teaching practices and professional skills;
- Helping students to improve critical thinking skills;
- Helping schools, universities and vocational education institutions to increase access to new English language learning resources, including technologies, and external learning opportunities for students, teachers, and community members.

During the first two weeks in their communities, the Volunteer will spend time adjusting and settling into a new living and working environment. During this period, s/he will learn about the community and surrounding area, learn about the organization, the community and get acquainted with his/her colleagues.

Apart from their primary assignment, sometimes Volunteers engage in different community-initiated projects. Using their skills, interests, and experience, and in accordance with locally expressed needs, Volunteers will assist communities in developing and enhancing educational, health, agricultural, environmental and other social projects. Volunteers may implement projects in their own community, or they may participate in projects in other communities.

მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის შესახებ

მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამა 2010 წელს დაიწყო. პროგრამის ფარგლებში მოხალისეები მუშაობენ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მოკლევადიან, მაღალეფექტურ პროექტებზე. მოხალისეები მსახურობენ 6-დან 12 თვის განმავლობაში და მიზნობრივ ტექნიკურ დახმარებას უწევენ ორგანიზაციებს ისეთ სფეროებში, როგორცაა ინგლისური ენის განათლება და მასწავლებელთა ტრენინგი, ახალგაზრდობის განვითარება და მოხალისეობა, გარემოს დაცვა და ეკოტურიზმის განვითარება, იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები და ა.შ. პროგრამის მოხალისეები ეხმარებიან ორგანიზაციებს, განვითარონ მათი ადამიანური და ორგანიზაციული შესაძლებლობები და შეძლონ ახალი რესურსების იდენტიფიცირება და მობილიზება.

მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროგრამის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მშვიდობის კორპუსის ინგლისური ენის სწავლების, ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების პროგრამებისა და ორგანიზაციის სხვა პრიორიტეტული სფეროების განვითარებას.

მიზანი:

მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის საერთო მიზანია დაეხმაროს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და თემებს შესაბამისი პროგრამების განვითარებაში მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

ამოცანა 1: თემისა და ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა

გაუმჯობესდება თემისა და ორგანიზაციის წევრების უნარ-ჩვევები ორგანიზაციული მენეჯმენტის, სტრატეგიის განვითარებისა და პროგრამის შემუშავების კუთხით.

ამოცანა 2: ადამიანური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა

თემებისა და ორგანიზაციის წევრები გაიუმჯობესებენ ან განიმტკიცებენ დაგეგმარების, დროისა და რესურსების მართვის, პროექტის მართვის, საგრანტო განცხადებების წერის, ფინანსების მოძიებისა და კომუნიკაციის უნარებს

ამოცანა 3: ინგლისური ენის სწავლების განვითარების ხელშეწყობა

ქართველ სტუდენტებს, მასწავლებლებსა და თემის სხვა წევრებს გაუჩნდებათ მეტი პირადი, პროფესიული და აკადემიური შესაძლებლობა ინგლისური ენის შესწავლის და სხვა მნიშვნელოვანი უნარების გამომუშავებასთან დაკავშირებული ტრენინგების საშუალებით.

მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეთა პროექტები

მშვიდობის კორპუსის მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეები საქართველოს იმ თემებში, სკოლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ნაწილდებიან, სადაც მათთან მუშაობის ყველაზე მეტი საჭიროება და დაინტერესებაა. მოხალისეები ორგანიზაციაში არ შეცვლიან კვალიფიცირებულ ქართველ თანამშრომლებს, ისინი არ ასრულებენ დაქირავებული თანამშრომლის როლსა და ფუნქციებს. მოხალისეები ითანამშრომლებენ ქართველ პარტნიორებთან, როგორც პროექტის განხორციელებისთვის, ისე ადამიანური შესაძლებლობების, მდგრადი ორგანიზაციული და სათემო განვითარების ხელშეწყობისთვის.

მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოხალისეები ღონისძიებათა ფართო სპექტრს ახორციელებენ. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:

- მენეჯმენტის, ორგანიზაციული განვითარების, ფინანსების მოძიების, კომუნიკაციის და სხვა ტიპის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში დახმარება;
- საგრანტო წინადადების ჩამოყალიბებაში, პროექტების დაგეგმვასა და მართვაში დახმარება;

- ტრენინგი ორგანიზაციების წევრებისათვის, დაინტერესებულ ზრდასრულებისა და ახალგაზრდებისათვის პროექტის დაგეგმვასა და მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმვაში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაში, ლიდერობაში, დროის მენეჯმენტში, კომუნიკაციაში, პროექტის მართვასა და სხვა უნარების განვითარებაში;
- ტრენინგი ორგანიზაციის წევრებისთვის, თემის ახალგაზრდებისა და სხვა წევრებისთვის დასაქმების უნარებში, როგორცაა CV-ს წერა, კარიერული მიზნების დასახვა, გასაუბრება და ა.შ;
- ორგანიზაციებისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის განკუთვნილი მასალებისა და ვებ-გვერდების შექმნა;
- ინგლისური ენის განათლების პროგრამის გაუმჯობესებაში უნივერსიტეტების, პროფესიული კოლეჯების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარება;
- სტუდენტებისთვის, მასწავლებელთათვის, თემის წევრებისა და ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ინგლისური ენის სწავლება;
- მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება სწავლების მეთოდისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით;
- სტუდენტების დახმარება კრიტიკული აზროვნების უნარის გაუმჯობესებაში;
- სკოლების, პროფესიული კოლეჯებისა და უნივერსიტეტებისთვის ინგლისური ენის ახალ სასწავლო რესურსებზე, ტექნოლოგიებზე; სტუდენტებს, მასწავლებლებსა და თემის წევრებს კი კლასგარეშე სწავლის შესაძლებლობებზე წვდომის უზრუნველყოფა.

თემში პირველი ორი კვირის განმავლობაში მოხალისეები ეჩვევიან ახალ საცხოვრებელ და სამუშაო გარემოს. ამ პერიოდში ისინი ეცნობიან ადგილობრივ საზოგადოებას, თემს, ორგანიზაციას და კოლეგებს.

ძირითადი მოვალეობების გარდა, მოხალისეები ჩაერთვებიან თემის მიერ წამოწყებულ სხვადასხვა პროექტებში. თავიანთი უნარების, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად და ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, ისინი დაეხმარებიან თემებს საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, სასოფლო-სამეურნეო, გარემოსდაცვითი და სხვა სოციალური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მოხალისეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც საკუთარი, ისე სხვა თემების მიერ ინიცირებულ პროექტებში.

Minimum Criteria for Announcements to Applicant Organizations and Schools:

(Peace Corps Response)

Primary Work Assignment

Minimum Criteria for Primary Work Assignment (Peace Corps Response)

- Local organization and community leaders and representatives (such as directors, counterparts, and other community members) are supportive of hosting a Volunteer and are willing to provide assistance as needed.
- The host agency has a demonstrated organizational need and strong interest in and commitment to hosting a Volunteer and is willing to provide a brief orientation to a Volunteer upon his/her arrival.
- Local organization and community leaders and representatives (such as directors, counterparts, and other community members) actively seek out and identify viable host family options.
- Organizational and community priorities are consistent with the Peace Corps Response program goals, objectives, and priorities.
- There is a clearly identified role, sufficient workload (as determined by PC staff and appropriate to the assignment), and a workspace appropriate to local workplace standards for the Volunteer.
- There is/are available, interested, and committed counterpart(s) in the host agency/organization/community willing to work with and provide support to the Volunteer.
- There is a potential for partnership with other groups or organizations in the community for secondary/community activities.
- The host agency is willing to cover all business travel related expenses of the Volunteer if required by the organization. (This may include transportation, per diem, and/or conference costs, etc. at the same level as a local staff person.)
- There is at least one English speaker on staff or in the community who is willing to work with the Volunteer, or another language can be identified for whom Peace Corps can attempt to recruit an appropriate candidate (for example, Georgian, Russian, Armenian, or Azeri).
- The staff and members of the organization are open and willing to assist the Volunteer with learning about Georgian culture and adapting to life in Georgia.

Desired Criteria for Primary Work Assignment (Peace Corps Response)

- The head of the organization, counterpart, and/or other community members must be able to clearly communicate their needs, develop a position/project description with clear goals and objectives, and define how the partnership with a volunteer will help meet those needs.
- The head of the organization and counterpart along with the Volunteer is willing to develop a detailed work plan based on the position/project description.
- The head of the organization and Counterpart are willing to support Volunteer to identify and engage with youth in their community and be willing to cooperate with the Volunteer on youth initiated and youth development focused projects, if available.

ორგანიზაციებისა და სკოლების შერჩევის მინიმალური კრიტერიუმები (მშვიდობის კორპუსის მხარდაჭერის პროგრამა)

ძირითადი სამუშაო დავალება

მინიმალური კრიტერიუმები ძირითადი სამუშაო დავალებისთვის

- ორგანიზაციის და/ან ადგილობრივი სათემო ჯგუფის ლიდერები და წარმომადგენლები (დირექტორები, პარტნიორები და თემის სხვა წევრები) მხარს უჭერენ მოხალისის მასპინძლობას და აქვთ სურვილი დახმარება გაუწიონ მას საჭიროებისამებრ;
- მასპინძელ ორგანიზაციას გააჩნია ორგანიზაციული საჭიროება და ძლიერი ინტერესი და სურვილი მოხალისის მასპინძლობის და მზადაა მას ჩაუტაროს ორიენტაციის მოკლე კურსი მისი ორგანიზაციაში ვიზიტისდროს.
- ორგანიზაციის და/ან ადგილობრივი სათემო ჯგუფის ლიდერები და წარმომადგენლები (დირექტორები, პარტნიორები და თემის სხვა წევრები) აქტიურად ცდილობენ კრიტერიუმების შესაბამისი მასპინძელი ოჯახების იდენტიფიცირებას;
- ორგანიზაციისა და თემის პრიორიტეტები შესაბამისობაშია მშვიდობის კორპუსის მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის მიზნებთან, ამოცანებთან და პრიორიტეტებთან;
- მოხალისეს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული როლი, საკმარისი სამუშაო დატვირთვა (მშვიდობის კორპუსის თანამშრომლების მიერ განსაზღვრული და სამუშაო დავალების შესაბამისი), და ადგილობრივ სამუშაო სტანდარტების შესაბამისი სამუშაო ადგილი;
- მასპინძელ ორგანიზაციაში/თემში არის/არაა დაინტერესებული და მოტივირებული პარტნიორები, რომელთაც სურთ მოხალისესთან თანამშრომლობა და მისი მხარდაჭერა;
- თემში არსებობს თანამშრომლობის შესაძლებლობა თემის სხვა ჯგუფებთან ან ორგანიზაციებთან მეორადი/თემის აქტივობების განსახორციელებლად.
- ორგანიზაციამ/სათემო ჯგუფმა მოხალისის სამუშაოსთან დაკავშირებული ხარჯი უნდა დაფაროს იმავე დონეზე, როგორც ეს ხდება ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებთან მიმართებაში. მაგალითად: ტრანსპორტის, ტრენინგის/სამუშაო შეხვედრის/კონფერენციის ორგანიზების და ჩატარების ხარჯები და სხვა .;
- ორგანიზაციამ/სათემო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს სულ მცირე ერთი ინგლისურად მოლაპარაკე, რომელსაც სურვილი ექნება იმუშაოს მოხალისესთან; შესაძლებელია ასევე სხვა ენაზე შეთანხმებაც, რა შემთხვევაშიც მშვიდობის კორპუსს შეუძლია სცადოს შესაბამისი კანდიდატის შერჩევა (მაგალითად, ქართული, რუსული, სომხური ან აზერბაიჯანული).
- ორგანიზაცია/სათემო ჯგუფი უნდა დაეხმაროს მოხალისეს ქართული ენის შესწავლაში და ადათ-წესების გაცნობაში.

სასურველი კრიტერიუმები ძირითადი სამუშაო დავალებისთვის (მშვიდობის კორპუსის მხარდაჭერის პროგრამა)

- ორგანიზაციას, პარტნიორს და/ან თემის სხვა წევრებს უნდა შეეძლოთ თავიანთი საჭიროებების ნათლად გადმოცემა, პოზიციის/პროექტის აღწერილობის შედგენა მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანებითა და მიზნებით და იმის განმარტება, თუ როგორ დაეხმარებათ მოხალისესთან თანამშრომლობა ამ მიზნების მიღწევაში.
- ორგანიზაციის დირექტორმა, პარტნიორმა და მოხალისემ ერთობლივად უნდა შეიმუშაონ დეტალური სამუშაო გეგმა, პოზიციის/პროექტის აღწერილობის საფუძველზე.
- ორგანიზაციის დირექტორი და პარტნიორი თანამშრომლები დაეხმარებიან მოხალისეს დაუკავშირდეს და გაეცნოს ახალგაზრდებს თემში, მხარს დაუჭერენ მოხალისის მიერ ახალგაზრდებსა და მათ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების წამოწყებას.

Housing

Required Minimum Criteria for Housing at Site

- The Volunteer must have a private room with acceptable doors, and a functioning lock on the door.
- Basic furniture in the room, including a bed, desk/table and chair, and a place to store clothing (wardrobe and/or dresser).
- Clean, private place to bathe or shower available at the home.
- Facilities for heating water for a bath or shower available at the home.
- Toilet Facilities must be located either inside or in maximum 25 meters from the home.
- Availability of water to have a bath at least once a week.
- Availability of electricity at least 15 hours a week.
- Facilities for washing clothes available at the home.
- A functional refrigerator is available at the home.
- A store is available within 30 minutes walking distance, where basic food items can be purchased.
- The family should not possess unregistered guns at home.
- All entrances and windows that access the PCV's portion of the house must have functioning locks.
- The host family's house is solidly constructed (for example, no large cracks on the walls or floor, the building is not leaning, etc...).
- Electrical wiring in the PCV's room should be in good condition with no visible breaks, burns, melts, or naked wiring. Electrical outlets and switches in the room should be in working condition.
- The windows of the PCV's room should have bars if the room is located on the ground floor and is in direct contact to the street or road (applicable to urban areas only).
- The host family's house must have reliable cell phone coverage through either Geocell or Magti. Magtifix or a landline would also be preferred but not required.
- The host family's house should be located within 15 minutes walking distance to the nearest neighbor.
- The home is within 45 minutes walking distance from the Volunteer's school or work place, and/or there is a reliable form of transportation available to transport the Volunteer to their workplace within 45 minutes. In case of big cities (Tbilisi, Rustavi, Kutaisi, Batumi, Telavi) this can be extended up to one hour.
- The host family's house should be located within 45 minute walking distance to the bus or marshutka station.
- There is no indication of violent criminals or drug traffickers in the host family's neighborhood.
- No family members in the household have infectious diseases such as tuberculosis, etc.
- All household pets have been vaccinated for rabies.
- The Ministry of Interior Affairs has provided a security clearance for the family. (Peace Corps will obtain this.)

Desired Criteria for Housing at Site

- At least one member of the family can speak a basic level of English.

საცხოვრებელი პირობები

მინიმალური კრიტერიუმები თემში საცხოვრებელი პირობებისთვის

- მასპინძელი ოჯახი უზრუნველყოფს მოხალისეს ცალკე ოთახით (კარგად ფუნქციონირებადი საკეტიანი კარით);
- მოხალისის ოთახში უნდა იყოს ელემენტარული ავეჯი: საწოლი, მაგიდა, სკამი, ტანსაცმლის შესანახი ადგილი (მაგალითად კარადა);
- სახლში უნდა იყოს სუფთად მოწყობილი ადგილი, სადაც მოხალისე შეძლებს შხაპის/აბაზანის მიღებას;
- სახლში უნდა იყოს შხაპის/აბაზანის მიღებისათვის წყლის გაცხელების საშუალება;
- საპირფარეშო/ტუალეტი განლაგებული უნდა იყოს სახლში ან სახლიდან მაქსიმუმ 25 მეტრის დაშორებით;
- ელექტროენერგია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მინიმუმ 15 საათი კვირაში;
- მოხალისეს უნდა ჰქონდეს საშუალება გაირეცხოს ტანსაცმელი;
- სახლში აუცილებლად უნდა იყოს ფუნქციონირებადი მაცივარი;
- სახლიდან 30 წუთის ფეხით სავალ მანძილზე უნდა მდებარეობდეს მაღაზია/ბაზარი, სადაც შესაძლებელია ძირითადი საკვების შეძენა;
- ოჯახი არ უნდა ფლობდეს/ჰქონდეს არარეგისტრირებულ იარაღი სახლში;
- ყველა შესასვლელსა და ფანჯარას, რომელიც გადის სახლის იმ ნაწილზე, სადაც მოხალისე ცხოვრობს უნდა ჰქონდეს ფუნქციონირებადი საკეტი;
- მასპინძელი ოჯახის სახლი მყარადაა აშენებული (მაგალითად, სახლის კედლებსა თუ სართულებზე არ ფიქსირდება დიდი ბზარები, ან შენობა არ არის გადახრილი);
- მოხალისის ოთახში ელექტრო გაყვანილობა უნდა იყოს უსაფრთხო, არ უნდა იყოს გატეხილი, გადამწვარი, ჩამომდნარი ან ღია მდგომარეობაში. ოთახში ელექტრო ჩამრთველები უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში;
- მოხალისის ოთახის ფანჯრებს უნდა ჰქონდეს გისოსები, იმ შემთხვევაში თუ ოთახი მდებარეობს პირველ სართულზე და იყურება ქუჩის მხარეს (ეხება მხოლოდ ურბანულ ადგილებს);
- მასპინძელ ოჯახს უნდა ჰქონდეს საიმედო სატელეფონო კავშირი (ჯეოსელი ან მაგთი). მაგთიფიქსი ან საკაბელო ტელეფონის ქონა სასურველია, მაგრამ არაა სავალდებულო.
- მასპინძელი ოჯახის სახლი უნდა მდებარეობდეს უახლოეს მეზობელთან 15 წუთის ფეხით სავალ მანძილზე;
- მოხალისის სახლი უნდა მდებარეობდეს სამსახურიდან არაუმეტეს 45 წუთის ფეხით სავალ მანძილზე და/ან უნდა არსებობდეს უსაფრთხო და სანდო სანტრანსპორტო საშუალება. დიდი ქალაქების შემთხვევაში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი) შესაძლოა გამოწვევის დაშვება და ფეხით სავალი მანძილის ერთი საათით გაზრდა;
- მასპინძელი ოჯახის სახლი უნდა მდებარეობდეს 45 წუთის ფეხით სავალ მანძილზე ავტობუსის ან მარშრუტის სადგურამდე;
- მასპინძელი ოჯახის სამეზობლოში არ შეინიშნება კრიმინალი ან ნარკოტიკებით მოვაჭრეები;
- მასპინძელი ოჯახის არცერთ წევრს აქვს გადამდები დაავადება, როგორცაა ტუპერკულოზი;
- ყველა სახლის ცხოველი უნდა იყოს ცოფზე აცრილი;
- ოჯახს გავლილი აქვს უსაფრთხოების შემოწმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ (უზრუნველყოფს მშვიდობის კორპუსი).

სასურველი კრიტერიუმი თემში საცხოვრებელი პირობებისათვის

- სასურველია ოჯახის ერთ წევრს ოდნავ მაინც შეეძლოს ინგლისურად საუბარი.

Community

Required Minimum Standards for the Community

- The community must be in Tbilisi, Kakheti (except north of Akhmeta), Kvemo Kartli, Mtskheta-Mtianeti (except Stepantsminda), Shida Kartli, Samtskhe-Javakheti, Imereti, Racha-Lechkhumi – Svaneti, Samegrelo, Ajara or Guria regions. The villages and towns located within the five kilometer administrative boarder line with Abkhazia and South Ossetia are not eligible for participation;
- There is no history of violent crime reported at the site against a foreigner that would likely affect the safety and security of Volunteer;
- The community is politically stable and does not present any significant security problems
- The community should have regional/district branch of Ministry of Internal Affairs (Local Police Department);
- There should be a local health care provider in the community or nearby town/district center (within 1 hour driving distance) which is willing to help the Volunteer and contact the Peace Corps Medical Unit in case of emergency;
- There is emergency transportation available to transport a PCV to the nearest healthcare facility in case of emergency;
- The community should have a reliable and regular form of transportation (bus or marshutka) to allow the Volunteer to travel to the district center or to the Capital (maximum in 1 hour walking distance);
- The community has reliable cell phone coverage provided by either Magti or Geocell;
- The community or nearby town/district center has either a Magtifix or landline telephone at a maximum of one hour driving distance from the Volunteer’s home;
- The community should have a market place or at least a small shop where a Volunteer will be able to purchase items for basic needs maximum in 40 minutes walking distance.

გარემო და საზოგადოება

თემის მინიმალური სტანდარტები

- თემი უნდა მდებარეობდეს თბილისში, კახეთში (ახმეტის ჩრდილოეთი ნაწილის გარდა), ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში (სტეფანწმინდის გარდა), შიდა ქართლში, სამცხე -ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, სამეგრელოში, აჭარისა და გურიის რეგიონებში. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ხუთ-კილომეტრიან ზოლში მდებარე დასახლებებს;
- თემში არ ფიქსირდება მოხალისის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ქმედების ფაქტები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მოხალისის უსაფრთხოებაზე;
- თემი არის პოლიტიკურად სტაბილური და არ მოიცავს რაიმე მნიშვნელოვან უსაფრთხოების პრობლემებს;
- თემში უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული/რეგიონალური განყოფილება (ადგილობრივი პოლიციის განყოფილება);
- ქალაქში/სოფელში ან ქალაქიდან/სოფლიდან ერთი საათი ფეხით სავალ მანძილზე უნდა იყოს მედ-პუნქტი/ექიმი, რომელიც შეძლებს საჭიროების შემთხვევაში მშვიდობის კორპუსის სამედიცინო ნაწილთან დაკავშირებას;
- ახლო მანძილზე არის ერთი სატრანსპორტო საშუალება მაინც, რომელიც იქნება ხელმისაწვდომი უახლოეს მედ პუნქტამდე გადაუდებელი ტრანსპორტირების შემთხვევაში;
- ქალაქში/სოფელში უნდა იყოს მუდმივი სატრანსპორტო მიმოსვლა (სამარშუტო ტაქსი ან ავტობუსი), რაც საშუალებას მისცემს მოხალისეს საჭიროების შემთხვევაში დაუბრკოლებლად იაროს რაიონულ ცენტრში და დედაქალაქში (მაქსიმუმ ერთი საათის სავალ მანძილზე);
- სამუშაო ადგილზე არის მობილური ოპერატორის (მაგთის ან ჯეოსელის) სანდო დაფარვის ზონა;
- თემში ან უახლოეს ქალაქში არის მაგთიფიქსი ან ხაზის ტელეფონი მოხალისის სახლიდან მაქსიმუმ ერთი საათი მგზავრობის მანძილზე;
- თემში უნდა ფუნქციონირებდეს ბაზარი ან პატარა მაღაზია, სადაც მოხალისე შეძლებს შეიძინოს ძირითადი მოხმარების საგნები, არა უმეტეს 40 წუთის სავალ მანძილზე.



Stage 1

How to Request a Volunteer Application Process

Submission of a Peace Corps Response Volunteer Request Form

The request form outlines several general questions regarding the organization and also some specific questions concerning the nature of the assignment. Please outline at least a general idea of how PCRV can support the organization and specify in which areas and fields.

Example: Volunteer will assist the organization in increasing staff capacity in project management; Volunteer will help us to design English language curriculum; Volunteer will help our department to develop a program, etc.

These descriptions will help us to determine how a Peace Corps Volunteer can help you achieve organizational goals.

